თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

29.04.2021
2189

შპს ,,იბეროილის"
დირექტორს მ. ნიკოლეიშვილს
თბილისი, ქიზიყის ქ.N 18

ბატონო მიხეილ,

სს "საქართველოს რკინიგზაში" განხილული იქნა თქვენი 2021 წლის 27 აპრილის წერილი (რკინიგზის კანცელარიის N 2798, 27/04/2021 წ.), რომელიც ეხება ლილოს სადგურის კენტი ყელის მიმდებარედ, თქვენს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 01.19.26.005.015) შესაყვანი სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის მოწყობის მუშა პროექტის შეთანხმებას.

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ რკინიგზიდან გაცემული წინასწარი თანხმობის საფუძველზე (წერილი N 983, 05/03/2021წ.), შპს "პროლაინი"-ს მიერ შემუშავებული პროექტის (პლ-02.12.20) მიხედვით, ტექნიკურად შესაძლებელია, თქვენი კომპანიის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების მიღება-დაცლისთვის დაგეგმილი, სარკინიგზო მისასვლელი ლიანდაგის ესტაკადით მოწყობა, რომლითაც გათვალისწინებულია:

1. N01 საპროექტო მისასვლელი ლიანდაგის მიერთება სს "საქართველოს რკინიგზის" ბალანსზე რიცხულ სადგ. ლილოს 1 ლიანდაგთან 1/11 მარკის რ50 ტიპის N01 საპროექტო ისრული გადამყვანით. მისი მთლიანი სიგრძე ისრული გადამყვანის და ჩამგდები კალმის სიგრძეთა ჩათვლით შეადგენს 500 მეტრს, ხოლო სასარგებლო სიგრძე - 72 მ-ს;

2. ლიანდაგის მოწყობა რელსის ტიპით რ-65, მრუდში ხის, სწორში რკ. ბეტონის შპალებზე, ღორღის ბალასტზე. ლიანდაგის მაქსიმალური ქანობით i = 16,4‰, მინიმალური რადიუსით R=130 მ; მიწის ვაკისის ძირითადი მოედნის სიგანე 5,8 მ.

3. მთავარი ხაზის კმ 10+პკ0+94მ-ში არსებული ხისტი განივის ნაცვლად ახალის მოწყობა 2-2 საკონტაქტო ქსელის რკინაბეტონის ანძაზე;

4. მოსაწყობი ლიანდაგის მარჯვენა მხრიდან რკინიგზის კავშირგაბმულობის არსებული კაბელის გადატანა შემაერთებელი ქუროების ფარგლებში 185 მ-ის მანძილზე და ხიდთან მისი მოთავსება გარსაცმის მილში;

5. საპროექტო ლიანდაგზე პკ 0 + 74 მ-ში 1/9 მარკის რ-65 ტიპის ჩამგდები ჩარჩო-რელსის კალმით მოწყობა;

6. ლიანდაგის ბოლოში ტიპიური სალიანდაგო საბჯენის მოწყობა;

7. შპს „იბეროილი“-ს ტერიტორიაზე ლიანდაგიდან წყლის მოცილების საკითხი გადაწყდება ტერიტორიის დაგეგმარებისას.

შეთანხმებულ მუშა პროექტში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, ყოველივე შესათანხმებლად ეცნობოს სს „საქართველოს რკინიგზას“.

პროექტის შეთანხმების შემდგომ, საპროექტო ლიანდაგების მოსაწყობად, რკინიგზის ლიანდაგზე დაერთებისათვის (ისრული გადამყვანის ჩაგება) და რკინიგზის საკუთრებაში არსებული მიწით სარგებლობის საკითხის მოსაწესრიგებლად (იჯარის ხელშეკრულების დადება), საჭირო იქნება სს „საქართველოს რკინიგზისთვის“ წერილობითი მომართვა შესაბამისი პროცედურების ჩატარებაზე. აგრეთვე კავშირგაბმულობის კაბელის გადატანის, ახალი ისრული გადამყვანის ელ. ცენტრალიზაციაში ჩართვის აუცილებლობის შემთხვევაში და ხისტი განივის მოხსნა-დაყენების შესრულების საკითხი ცალკე შეთანხმდეს შესაბამის მეურნეობებთან (სცბ-ს და ელექტრომომარაგების დეპარტამენტები).

ინფრასტრუქტურის დირექტორი

გ. მარუქაშვილი